რასობრივი დისკრიმინაციის ამოფხვრის კონვენციის გამოყენება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქმეზე უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ

კონტექსტი

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს არსებობის ისტორიაში მას მხოლოდ სამჯერ ჰქონდა შესაძლებლობა განეხილა სახელმწიფოთაშორისო დავა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CERD) საფუძველზე, თუცა ამ სამი შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ მოხერხდა რომ დავამ გაიარა ყველა საფეხური, სასამართლომ განიხილა მისი არსებითი ნაწილი და გამოიტანა განაჩენი. აღნიშნული დავა შეეხებოდა უკრაინის მიერ 2017 წელს სასამართლოში შეტანილ სარჩელს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელშიც მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა რომ ყირიმსა და დონბასის რეგიონში განხორციელებული ქმედებებით, რუსეთმა რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის კონვენციის გარდა ასევე დაარღვია ტერორიზმის დაფინანსების აკრძალვის კონვენციაც.

დანარჩენ ორ შემთხვევაში, დავა ეხებოდა საქართველოს მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარმოებულ პროცესს, სადაც იგი ამტკიცებდა რომ 2008 წელს რუსეთმა ჩაიდინა ქართველების დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით და კატარის მიერ არაბეთის გაერთიანებული საამიროების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს, სადაც ის დავობდა რომ გაერთიანებულმა საამიროებმა მიიღო ისეთი ზომები რაც უტოლდებოდა კატარის მოქალაქეების დისკრიმინაციას ეროვნული ნიშნით. ორივე შემთხვევაში დავამ ვერ გადალახა წინასწარი შეპასუხების ეტაპი და სასამართლოს მიერ არც-ერთი მათგანის განხილვა არ გადასულა არსებით ნაწილზე.

წინამდებარე ბლოგ პოსტი ეხება მხოლოდ საქმეს *უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ* და მოკლედ მიმოიხილავს იმ სადავო საკითხებს, რომლებიც ამ სახელმწიფოთაშორის საქმეში ეხებოდა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის სავარაუდო დარღვევებს, ასევე სასამართლოს მიგნებებსა და მათ მნიშვნელობას საერთაშორისო სამართალში.

ფაქტობრივი გარემოებები

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პირველი მუხლი რასობრივ დისკრიმინაციას განმარტავს, როგორც ნებისმიერი სახის განსხვავება, გარიყვა, შეზღუდვის დაწესება ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ან ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის ნიშნით, რომელიც მიმართულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური

თავისუფლებების თანასწორ საწყისებზე აღიარების, რეალიზებისა თუ სარგებლობის გაუქმებისა ან შემცირებისაკენ.

კონვენციის დარღვევის დასადგენად პირველ რიგში საჭიროა რომ დასაბუთდეს დაცული ჯგუფი, რომლის მიმართაც ადგილი ჰქონდა სავარაუდო დისკრიმინაციის აქტებს კონვენციით ჩამოთვლილი რომელიმე ნიშნით. განსახილველ სამართლებრივ დავაში, მხარეები შეთანხმდნენ რომ ყირიმელი თათრები და ეთნიკური უკრაინელები არიან დაცული ჯგუფი კონვენციის მიზნებისათვის, შესაბამისად სასამართლოს აღარ დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ ეს მსჯელობა და მიიჩნია რომ სადავო ქმედებები სწორედ ამ ორი დაცული ჯგუფის წინააღდეგ უნდა განიხილებოდეს.

უკრაინა დავობდა, რომ ყირიმის ანექსიის შემდეგ ნახევარკუნძულზე დაფუძნებული რუსული რეჟიმი ახდენდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ყირიმელი თათრებისა და ეთნიკური უკრაინელების დისკრიმინაციას რვა სხვადასხვა ასპექტში:

1) ყირიმელი თათრებისა და ეთნიკური უკრაინელების გაუჩინარება, მკვლელობა, გატაცება და წამება, რომელიც მოტივირებული იყო ეთნიკური ნიშნით და მოიცავდა ბევრ ინციდენტს, რომელზეც რუსეთის ფედერაციას არ ჩაუტარებია ეფექტიანი გამოძიება.

2) სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული სპეციალური ოპერაციები, ჩხრეკის, დაკავებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ჩათვლით, რომელიც მიმართული იყო ყირიმელი თათრების წინააღმდეგ და თათრების წარმომადგენლობითი ორგანოს - მეჯლისის წინააღმდეგ და შენიღბული იყო, როგორც 'ექსტრემისტული აქტივობების' წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებები.

3) თათრების ორგანოს - მეჯლისის აკრძალვა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, როგორც ყირიმელი თათრების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული ზომა, რადგან მეჯლისის წევრები ექსკლუზიურად მხოლოდ თათრები იყვნენ.

4) რუსეთის მოქალაქეობის რეჟიმის გავრცელება ყირიმში, რომელმაც რთულ სიტუაციაში ჩააყენა ყირიმელი თათრები და ეთნიკური უკრაინელები, რადგან მათ მოუწიათ რთული არჩევანის გაკეთება - მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა თუ შეენარჩუნებინათ უკრაინული მოქალაქეობა, როდესაც უკრაინის ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა ყირიმს.

5) ყირიმელი თათრებისათვის კულტურულად მნიშვნელოვან მოვლენებზე შეკრებების აკრძალვა, რომელიც განპირობებული იყო რუსეთის ფედერაციის შიდა კანონმდებლობით, რომელიც მან ავტომატურად გაავრცელა ყირიმში.

6) ყირიმელი თათრებისა და ეთნიკური უკრაინელების მხარდამჭერი მედია საშუალებების მკაცრად შეზღუდვა, რომელიც ეფუძნებოდა რუსეთის ფედერაციის შიდა კანონებს მასობრივი მედიისა და ექსტრემიზმის შეზღუდვის შესახებ.

7) ყირიმელი თათრებისათვის საკრალური კულტურული ობიექტებისა და ადგილების შებილწვა და განადგურება, რაც განპირობებული იყო სავარაუდო ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციით და რომელზეც რუსეთის ფედერაციას არ ჰქონია სათანადო რეაგირება.

8) განათლების მიღებასთან დაკავშირებული ზომები, რომელიც მოიცავდა ეთნიკური უკრაინელებისათვის და ყირიმელი თათრებისათვის საკუთარ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვას, რომელიც ატარებდა მასობრივ სახეს და განპირობებული იყო ამ ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის მოტივით.

სასამართლოს შეფასება

სასამართლომ პირველ რიგში მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ მოდავე მხარეებს შორის სიტუაცია დღესდღეობით მკვეთრად განსხვავებულია 2017 წელს არსებული სიტუაციიდან, რადგან უკრაინასა და რუსეთს შორის ამჟამად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი შეიარაღებულ კონფლიქტი და მხარეებს შორის არსებობს დავა ბევრ სხვა სამართლებრივ საკითხზეც. ამის მიუხედავად, წინამდებარე განაჩენი მკაცრად შემოიფარგლება იმ მოთხოვნებით, რაც უკრაინამ დააყენა 2017 წელს, სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვისას და რაც ეხება მხოლოდ და მხოლოდ 2014-2017 წლებში ყირიმის ნახევარკუნძულზე მომხდარ მოვლენებს.

ამის შემდგომ სასამართლომ სათითაოდ განიხილა უკრაინის მიერ დაყენებული ყველა მოთხოვნა და კონვენციის დარღვევა წარდგენილი რვა ეპიზოდიდან მხოლოდ ერთი ეპიზოდის ერთ ნაწილში დაადგინა. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყირიმში რუსეთის ფედერაციის მიერ განათლების სისტემაში გატარებულ ზომები, რომლის შედეგადაც ეთნიკურ უკრაინელებს შეეზღუდათ საკუთარ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, განპირობებული იყო მათ მიმართ რასობრივი დისკრიმინაციული მიდგომით, რითაც რუსეთის ფედერაციამ დაარღვია CERD-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ სხვა მოთხოვნებთან მიმართებით, სასამართლო ძირითადად ეყრდნობოდა მის შეზღუდულ მანდატს და აღნიშნავდა, რომ მას კონკრეტული ზომების კანონიერების შესწავლა შეუძლია მხოლოდ რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში და თუკი რასობრივი დისკრიმინაცია არ დადგინდა, ეს არ ნიშნავს რომ განსახილველი ზომები არ არღვევს ადამიანის უფლებების სხვა რომელიმე რეჟიმს. მაგალითისათვის, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ რუსეთის ფედერაციის ეროვნული კანონმდებლობა მასობრივი მედიის საშუალებებზე ისედაც ძალიან შემზღუდავია და სავარაუდოდ არღვევს ადამიანის უფლებებს, მაგრამ თუკი ეს, თუნდაც შემზღუდავი კანონმდებლობა, გამოყენებულია ყველა ჯგუფის მიმართ, განურჩევლად მათი ეთნიკური ნიშნისა, მაშინ კონვენციის დარღვევა არ დადგინდება.

ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური ნიშნის ქვეშ გაერთიანებული ჯგუფი არაა დაცული რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით, შესაბამისად თუკი რაიმე ზომა მიღებულია პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ, ეს კონვენციის დარღვევად ვერ დაკვალიფიცირდება. სასამართლომ ამ კონტექსტში მაგალითად მოიყვანა მეჯლისის დათხოვნა, რომელიც მისი შეფასებით განპირობებული იყო მეჯლისის წევრთა პოლიტიკური აქტივობებით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და არა მაინცდამაინც მათი ეთნიკური წარმოშობის ნიშნით.

მიღწევები და იმედგაცრუება

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მოთხოვნების უმეტესი ნაწილი სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რაც ერთგვარი იმედგაცრუება იყო ბევრი კომენტატორისათვის, სასამართლოს აღნიშნული განაჩენი მაინც მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოებების გამო:

- CERD-ის კონვენციის არსებობის ისტორიაში პირველად მოხდა რომ სახელმწიფოთაშორის დავაში რომელიმე ქვეყანას დაუდგინდა ვალდებულებების დარღვევა, ეს შემთხვევა ასევე პირველი იყო, როდესაც რუსეთის ფედერაციას დაუდგინდა საერთაშორისო სამართლის დარღვევა გაერთიანებული ერების მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ.
- სასამართლომ დააფუძნა მნიშვნელოვანი პრეცედენტი სამომავლოდ რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში წარმოებულ დავებთან დაკავშირებით. აღნიშნული პრეცედენტი გულისხმობს კონვენციის ვიწრო განმარტებასა და მტკიცების ტვირთის მაღალ სტანდარტს, რომელიც მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს სადავოდ გახდილი ქმედებების რასობრივი დისკრიმინაციის მოტივს.
- ამასთანავე, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის დარღვევის დასადასტურებლად არ კმარა ცალკეული დისკრიმინაციის აქტები, არამედ ნათლად უნდა წარმოჩნდეს რომ დამრღვევი მხარის მხრიდან ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული ქმედებების მასობრივ ტენდენციას (pattern of racial discrimination).
- და ბოლოს, სასამართლომ რუსეთის ფედერაციას დააკისრა ვალდებულება რომ შეწყვიტოს მის მიერ კონვენციის დარღვევა და მიიღოს ეფექტიანი ზომები რათა ყირიმში ეთნიკური უკრაინელებისათვის უზრუნველყოფილი იყოს უკრაინულ ენაზე განათლების მიღება.

პოსტი მოამზადა აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდის უფროსმა მკვლევარმა საბა ფიფიამ